28/06/2019

ბულგარეთის პატრიარქმა ნეოფიტემ ბულგარელ ხალხს მოუწოდა, ზაფხული საქართველოში გაატარონ

ბულგარეთის პატრიარქმა ნეოფიტემ ბულგარელ ხალხს მოუწოდა, ზაფხული საქართველოში გაატარონ და მოინახულონ ქვეყნის ღირსშესანიშნავი რელიგიური ადგილები. პატრიარქმა ასევე განაცხადა, რომ ბულგარეთის ეკლესიამ საქართველოს წმინდა ადგილები უნდა შეიტანოს იმ მოსალოც ადგილთა რიცხვში, რომელთა ნახვასაც რეკომენდაციას გაუწევს ადგილობრივი ეკლესია.
ამ ქმედებით ბულგარეთის პატრაირქმა წაახალისა რელიგიური ტურიზმი და საქართველო ასეთი ტურიზმის პუნქტად დაასახელა.

ტურიზმის მხარდამჭერი კომპანია მას შემდეგ დაიწყო, რაც რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა რუსეთიდან საქართველოსკენ პირდაპირი რეისების აკრძალა 8 ივლისიდან.
წყარო

karibche.ambebi.ge